საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/123

ქ. ბათუმი 23 ივლისი, 2021 წ.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 16 თებერვლის N01-08/6 ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 23 თებერვლის №152786 ბრძანების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნის (N 453959, 18.05.2021 წ), ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების (60-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსწორების თაობაზე, ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივნისის სხდომის ოქმის NMES0210000549059), იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 12 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (შიდა N701978), ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/36 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურული ცვლილებების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 23 ივლისის N07-01/37 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 16 თებერვლის N01-08/6 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის (N1 დანართის):

ა) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. უნივერსიტეტში შემოსული კორესპონდენცია (ფოსტის მეშვეობით/მატერიალური სახით/ელექტრონულად, მათ შორის სტუდენტური პორტალის საშუალებით ან უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე - info@bsu.edu.ge ან ბსუ-ს კანცელარიის ელ.ფოსტაზე - chancelery@bsu.edu.ge შემოსული, რეგისტრირდება და აღირიცხება ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია).";

ბ) მე-3 მუხლის მე-3-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ბსუ-ს სამართლებრივი აქტის/ბსუ-დან გასაგზავნი კორესპონდენციის პროექტი საჭიროებს იმ მართვის ორგანოს ან/და სტრუქტურული ერთეულის პერსონალის ვიზირებას, რომლებმაც მოამზადეს ან/და შეითანხმეს ეს პროექტი (პირები, რომელთა ფუნქცია-მოვალეობებთან/საუნივერსიტეტო საქმიანობის განხორციელებასთან არის დაკავშირებული პროექტი). პროექტების ვიზების შეგროვებისათვის პასუხისმგებელია ის სტრუქტურული ერთეული (ინიციატორი), რომელიც ამზადებს პროექტს.
4. სამართლებრივი აქტის/სამსახურებრივი ბარათის/წერილის პროექტებზე მუშაობისა და ინფორმაციის დამუშავების პროცესში მართვის ორგანოებს/სტრუქტურულ ერთეულებს შორის უნდა იყოს მჭიდრო თანამშრომლობა. პროექტის მოსამზადებლად საჭირო ინფორმაცია/მასალა მოპოვებული უნდა იქნეს იმ დასაქმებულის/სტრუქტურული ერთეულის/მართვის ორგანოსგან, რომელიც ფუნქცია-მოვალეობებით/საქმიანობით დაკავშირებულია მოსამზადებელ პროექტთან.
5. საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში მომზადებული პროექტის ვიზირება ხორციელდება ამავე სისტემის შესაბამისი ველის მეშვეობით, ხოლო მატერიალური სახით მომზადებული და ვიზირებული პროექტი საბოლოო გაფორმებისათვის გადაეცემა კანცელარიას. პროექტის მომზადებისა და ვიზირების (შეთანხმების) შესახებ წინამდებარე ინსტრუქციაში აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში ბსუ-ს კანცელარიამ უნდა უზრუნველყოს პროექტის ინიციატორის ინფორმირება ან/და დაუბრუნოს იგი წარმომდგენს, დადგენილი წესით მოსამზადებლად და ხელახლა წარმოსადგენად.";

გ) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ) ხელშეკრულებისა და ბსუ-ს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ფაკულტეტის/კანცელარიის ბეჭდით დამოწმებული ასლები (სტუდენტთა ხელშეკრულებების დედნები, ასევე სტუდენტთან გაფორმებული შეთანხმის დედანი აღირიცხება, რეგისტრირდება და ინახება ბსუ-ს საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად).";

დ) მე- 8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

,,1. ბსუ-ს, ასევე ბსუ-ს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ბეჭდების აღწერილობებს და მათი გამოყენების წესს ამტკიცებს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად, ბეჭდის დამზადების ინიცირებას ახდენს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, ხოლო დამზადება ხდება საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) ორგანიზებით (ბსუ-ს მატერიალური

რესურსების მართვის დეპარტამენტთან და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან თანამშრომლობით).";

ე) მე- 8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„ა) გერბიანი და საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) საუნივერსიტეტო ბეჭდები და საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) შტამპი - ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია), რომელთა გამოყენებაზე/შენახვაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) უფროსი ან შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი;";

ვ) მე- 8 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს;

ზ) მე- 8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„3. ბსუ-ს კოლეგიური მართვის ორგანოების - აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს ბეჭდების და ბლანკების აღწერილობებს/ფორმებს ამტკიცებს შესაბამისი მართვის ორგანო. ბეჭდების დამზადების შესახებ ინიცირება ხორციელდება მართვის ორგანოს სამდივნოს უფროსის მიერ, ხოლო დამზადება - საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) ორგანიზებით (ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტთან და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტთან თანამშრომლობით).";

თ) მე- 8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„ბ) საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) საუნივერსიტეტო ბეჭედი - ბსუ-ს სამართლებრივი აქტის/დოკუმენტის ასლის დედანთან შესაბამისობის დასადასტურებლად, საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) საქმიანობის პროცესში, მივლინების ფურცლების, ხელშეკრულებების ასლების და სამსახურის კომპეტენციის შესაბამისად მომზადებული დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტების) და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებული ცნობების დასამოწმებლად, ხოლო საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) სარეგისტრაციო შტამპი - საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია) მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციოდ;";

ი) მე- 8 მუხლის მე-4 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.

2. ბრძანება და წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადებული კოდიფიცირებული/კონსოლიდირებული ბსუ-ს ინსტრუქცია განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

4. ბრძანების პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განხორციელებული ცვლილება ამოქმედდეს ბრძანების ხელმოწერისთანავე, ხოლო პირველი პუნქტის ,,ა", ,,გ"-,,ი" ქვეპუნქტები - 2021 წლის 15 აგვისტოდან.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**